ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების
დარგობრივი საბჭოს სხდომის (27. 03. 2019) ოქმის N 1 დამართი N2

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

სსიპ –განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2019 წელი

I. ზოგადი ინფორმაცია

დარგობრივი მახასიათებელი	დასახელება:	**ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა** **Georgian language preparation educational program**	
	სარეგისტრაციო ნომერი:		
	დამტკიცების თარიღი:		
	მოქმედების ვადა:	7 წელი ან საჭიროებისამებრ	
	დარგი/პროფესია:	-	
	პროფესიის დასახელება:	-	
	სწავლის სფერო:	ქართული ენა Georgian Language	
	განათლების საფეხური კვალიფიკაციათა ჩარჩოს დონე		აკადემიური ხარისხი: არ ენიჭება

დარგობრივი მახასიათებლის მიზანი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის მიზანია, ენათა ზოგადევროპულ ჩარჩოზე - (CEF) დაყრდნობით განსაზღვროს ის მინიმალური ენობრივი კომპეტენცია, რომელსაც სავალდებულოდ უნდა ფლობდეს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ პირი, რათა მოიპოვოს უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების ნებისმიერ ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე შემუშავებული პროგრამის გავლის შედეგად, სტუდენტმა უნდა შეძლოს უმაღლესი სასწავლებლის საბაკალავრო ნებისმიერ პროგრამაზე ქართულ ენაზე სწავლა - ლექციის / ზეპირი მოხსენების მოსმენა, გაგება-გააზრება, დარგობრივი ლიტერატურის გაცნობა და გაგება, აუდიტორიაში (სემინარზე, პრაქტიკუმზე) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა, მოცემული დავალების წერითი თუ ზეპირი ფორმით შესრულება, საშინაო დავალებების მომზადება და პრეზენტაცია ქართულ ენაზე.

დარგის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები

- საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ (#4084; მიღების თარიღი - 22/07/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010030000.05.001.017899)
- საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მე-4 მუხლი (https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/136798?)
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (https://www.tsu.ge/data/file_db/PR/kanoni-umaglesi-ganatlebis.pdf)
- კონსტიტუციის 38-ე მუხლი;
- Common European Framework of Reference for Languages: Learning, Teaching, Assessment (CEFR): https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/

დარგის აღწერა

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე შემუშავებული „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“ განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომელთაც დაამთავრეს არაქართულენოვანი (აზერბაიჯანული, სომხური, ოსური, რუსული, აფხაზურენოვანი) სკოლა; დღეს არსებული რეალური სიტუაცია ამ ტიპის სკოლებში ვერ უზრუნველყოფს არაქართულენოვანი აბიტურიენტების კონკურენტუნარიანობას ქართულენოვან სკოლადამთავრებულ აბიტურიენტებთან, რის გამოც სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში, ყველა უმაღლეს სასწავლებელში განხორციელებულიყო ერთწლიანი (60 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის გულისხმობს კვოტის (სტუდენტთა მისაღები სრული კონტინგენტის 5-5 პროცენტი - აზერბაიჯანულ- და სომხურენოვანი, 1-1 პროცენტი – აფხაზური და ოსურენოვანი აბიტურიენტებისთვის) შემოღებას ყველა (როგორც სახელმწიფო, ასევე - კერძო სასწავლებელში).

ქართულ ენაში მომზადების პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ქართული ენის იმგვარი ცოდნა, რომ აბიტურიენტმა შეძლოს: წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე; სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება და შექმნა (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება);

დასაქმების შესაძლებელი სფერო/სფეროები და სპეციალური მოთხოვნები

1. **დასაქმების შესაძლო სფერო/სფეროები:**

   ქართულ ენაში მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულები აგრძელებენ სწავლას უმაღლესი სასწავლებლის საბაკალავრო საფეხურზე, ნებისმიერი სპეციალობით, შეუზღუდავად. სწავლის ამ საფეხურზე რეკომენდებულია ფაკულტეტებზე ამ კატეგორიის სტუდენტთათვის სპეციალური აკადემიური დახმარების ცენტრების შექმნა.

2. **სპეციალური მოთხოვნები:** ერთიან ეროვნულ გამოცდაზე მშობლიურ ენაში ტესტირებაზე მინიმალური ზღვრის გადალახვა.

II. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

1. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა

ხანგრძლივობა მოცულობა, ECTS	1 სასწავლო წელი 60 ECTS	სტრუქტურა	☑	-	60 ECTS	მათ შორის:	• სპეციალობის სავალდებულო კურსები • არჩევითი სასწავლო კურსები/ბლოკები;

პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობები - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლა აუცილებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად ქართულ ენაზე. (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. მუხლი 47[3]). ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა). 2019 წელს შეტანილი ცვლილებით ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ოსურენოვანთათვის/აფხაზურენოვანთათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა აბიტურიენტებს ექნებათ მხოლოდ აფხაზური ან ოსური ენის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე (ეს რეგულაცია ვრცელდება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე).

სტუდენტთა გადანაწილება ჯგუფებში ხორციელდება ქართულ ენაში ჩატარებული წინასწარი გამოცდის შედეგების საფუძველზე, წერითი და კითხვის უნარები - წერილობითი პრეტესტის, ხოლო მოსმენა-ლაპარაკის კომპეტენციები განისაზღვრება აუდიოტექსტის და ზეპირი ინტერვიუს ჩატარების საფუძველზე, სასწავლო წლის პირველი სემესტრის დაწყებამდე. საწყისი ენობრივი კომპეტენციები განსაზღვრის შედეგად (ოთხივე მიმართულებით) განხორციელდება მათი გადანაწილება სხვადასხვა დონის (A და B ბლოკების) ჯგუფებში.

შენიშვნა: A ბლოკი გულისხმობს პირველ სემესტრში ინტენსიურ კურსებს, და მეტი საკონტაქტო საათების ოდენობას და ტუტორთა აქტიურ დახმარებას;
B არჩევითი ბლოკი შედარებით მაღალი ენობრივი კომპეტენციის (B1 და მეტი) მქონე სტუდენტებზეა გათვლილი.

2. დარგობრივი კომპეტენციები

ასპექტი№	კომპეტენცია		კომპეტენციის	
	ცოდნა-გააზრება	პრაქტიკული/სხვ. უნარები	მიღწევის სპეციფიკური მეთოდები	დემონსტრირების სპეციფიკური კრიტერიუმები
1. კომპეტენციის სფერო - სამეტყველო უნარები (კითხვა)				
1.1.	იცის კითხვის მრავალფეროვანი სტრატეგიები: ჩუმი კითხვა, პაუზებით კითხვა, მთლიანობითი კითხვა... ათვისებული აქვს სათანადო ლექსიკა და მიღებული აქვს გრამატიკული ცოდნა (ქართული ენის ბგერითი შედგენილობა და სპეციფიკური ბგერების წერილობით გადმოცემა; სახელის ბრუნება და რიცხვის წარმოება, ზმნის უღლების ძირითადი ასპექტები (პირი, რიცხვი, დრო, კილო, ასპექტი); მარტივი წინადადების კონსტრუქციები, რთული წინადადების აგების ძირითადი ასპექტები; მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა.	წაკითხული ტექსტიდან შეუძლია გაიგოს განსახილველი საკითხების მთავარი არსი; შეუძლია თვალი გადაავლოს დიდი მოცულობის რთულ ტექსტს და გამოყოს მნიშვნელოვანი დეტალები. შეუძლია წაიკითხოს და დეტალურად გაიგოს სხვადასხვა ხასიათისა და ტიპის ვრცელი ტექსტი (მაგ. სახელმძღვანელო, სტატია...), საჭიროებისამებრ, გამოიყენოს ლექსიკონი. შემსწავლელს შეუძლია გაიგოს სპეციალური სტატიები, რომლებიც სცილდება მისი საქმიანობის სფეროს, იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ლექსიკონის გამოყენების საშუალება ამა თუ იმ ტერმინის/კონკრეტული პოლისემიური სიტყვის რომელიმე მნიშვნელობის დასაზუსტებლად.	ლექცია-სემინარები; პრობლემებზე ორიენტირებული სწავლება; მოდელირებული სიტუაციების განხილვა; გაცნობითი კითხვა; ძიებითი კითხვა; გადათვალიერება; სწრაფი კითხვა; შესწავლითი კითხვა. წაკითხულის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული დავალებების ჯგუფური და ინდივიდუალური შესრულება; როლური და სიტუაციური თამაშები.	კითხულობს ვრცელ დარგობრივ ტექსტებს კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის (გაცნობითი, შესწავლითი...) გამოყენებით და წარმოადგენს / გამოყოფს ტექსტიდან მნიშვნელოვან დეტალებს. შეუძლია მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის დახარისხება და ტექსტის არსის წერილობით / ზეპირი ფორმით პროდუცირება. უცნობი სიტყვების / ამოსაცნობად იყენებს დარგობრივ / განმარტებით ლექსიკონებს.
2. კომპეტენციის სფერო - სამეტყველო უნარები (წერა)				
2.1.	იცის წერის სტრატეგიები ("რა – რატომ და როგორ?"; გეგმის ჩამოყალიბება, ალტერნატიული გზების ძიება, ინფორმაციის ორგანიზება, თხზვის სტრატეგია, მოდელის ანალიზი და მანიპულაცია (თანმიმდევრობით დალაგება, გადაკეთება, შეერთება) და სხვა. ათვისებული აქვს ტექსტის შექმნისთვის საჭირო გრამატიკული წესები (სახელური და ზმნური ფორმაწარმოების წესები, მარტივი და რთული წინადადების აგების	შეუძლია კარგად ჩამოყალიბებული, დეტალური ტექსტის დაწერა წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე. შეუძლია პრობლემის არსის გადმოცემა, სისტემურად წარმოჩენა, მნიშვნელოვანი საკითხების წინ წამოწევა; შეუძლია წერილობითი ფორმით აზრის თანამიმდევრულად ჩამოყალიბება პროფესიულ / მისთვის ნაცნობ თემებზე.	ლექციები თვალსაჩინოებებისა (სქემები და სხვა გრაფიკული საშუალებები, ბანერები) და თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით: პრაქტიკული მეცადინეობები (სემინარები): ჯგუფური მუშაობა; პორტფოლიოს წარმოება.	იყენებს წერის სხვადასხვა სტრატეგიას წერითი დავალებების შესასრულებლად; შეარჩევს სათანადო ლექსიკას / ერმინოლოგიას სპეციფიკური დარგობრივი და ფუნქციური ტექსტების შესაქმნელად.

	ძირითადი ენობრივი კანონზომიერებანი). ნაწერის რედაქტირებისთვის აუცილებელი ორთოგრაფიული წესები.			
3. კომპეტენციის სფერო - სამეტყველო უნარები (მოსმენა)				
3.1.	იცის აქტიური მოსმენის ეფექტური სტრატეგიები (გამეორება,მიბრუნება და განხილვა, მოსმენა და პერიფრაზირება, კითხვების დასმა და სხვა): ათვისებული აქვს სათანადო ლექსიკა და მიღებული აქვს გრამატიკულ ცოდნა (ქართული ენის ბგერითი შედგენილობა - სპეციფიკური ბგერების არტიკულაცია; სახელის ბრუნება და რიცხვი, ზმნის უღლების ძირითადი ასპექტები, მარტივი წინადადების ძირითადი კონსტრუქციები, რთული წინადადების აგების ძირითადი ასპექტებიმსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება)	შეუძლია სალიტერატურო ნორმების ფარგლებში ისეთი სასაუბრო მეტყველების (ცოცხალი თუ ჩანაწერი) გაგება ნაცნობ ან უცნობ თემებზე, რომლებსაც იგი ეხება პირად, საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო და პროფესიულ სფეროებში ურთიერთობისას. შეუძლია შინაარსობრივად და ენობრივად რთული მოხსენების დედააზრის გაგება, თუკი ამ გამოსვლის თემატიკა მისთვის გარკვეულწილად ცნობილია; შეუძლია მიხვდეს მოსაუბრის ტონსა (საყვედურისა თუ მადლიერების...) და განწყობას.	ვიდეო- და აუდიომასალის ჩვენება / მოსმენა; გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული დავალებების ჯგუფური და ინდივიდუალური შესრულება; დიალოგების გათამაშება; წყვილებში მუშაობა; აქტივობები წყვილებში; როლური და სიტუაციური თამაშები;	ისმენს ვრცელ დარგობრივ ტექსტებს მოსმენის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით და წარმოადგენს / გამოყოფს მოსმენილი ტექსტიდან მნიშვნელოვან დეტალებს. შეუძლია ტექსტის არსის წერილობით / ზეპირი ფორმით პროდუცირება. უცნობი სიტყვების / ამოსაცნობად იყენებს სხვადასხვა ხერხს (შეკითხვა-დაზუსტება, ლექსიკონის გამოყენება...).
4. კომპეტენციის სფერო – სამეტყველო უნარები (ლაპარაკი)				
4.1.	იცის ლაპარაკის სტრატეგიები (ახალი ცნებების ათვისება და კატეგორიების დასწავლა; სიუჟეტის თანმიმდევრულად გადმოცემა, ინტონაციის შერჩევა, შესაფერისი ლექსიკისა და ენობრივი ხერხების გამონახვა); ათვისებული აქვს ზეპირი ტექსტის შექმნისთვის საჭირო გრამატიკული წესები (სახელური და ზმნური ფორმაწარმოების წესები, მარტივი და რთული წინადადების აგების ძირითადი ენობრივი კანონზომიერებანი), საკუთარი აზრის კონსტრუირებისა და გადმოსაცემად აუცილებელი ორთოეპიული წესები.	შეუძლია მოუმზადებლად მიიღოს მონაწილეობა საუბარში, რომელიც ეხება ნაცნობ თემებს. შეუძლია არა მარტო მოჰყვეს რაიმე ამბავს, ფილმისა თუ წიგნის შინაარსს, არამედ მასთან დაკავშირებით გადმოსცეს საკუთარი მოსაზრებები. მას ასევე შეუძლია ისაუბროს რაიმე მოვლენის, შთაბეჭდილების, დამოკიდებულების (დაინტერესების...) ან განცდის (გაკვირვება, სიხარული, წყენა), შეუძლია არგუმენტირებულად გადმოსცეს, ახსნას და დაასაბუთოს საკუთარი აზრები, ვარაუდები.	აქტივობები წყვილებში; როლური და სიტუაციური თამაშები; ინდივიდუალური პრეზენტაცია. დიალოგების გათამაშება.	შეუძლია ჩამოაყალიბოს ლოგიკურად და გრამატიკულად გამართული წინადადებები, ფრაზები, გადმოსცეს როგორც ყოველდღიური, ყოფითი ამბავი, ასევე - სპეციფიკური დარგობრივი ტექტები. დასაშვებია მცირე ენობრივი ხარვეზები.

3. მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამის რესურსებისადმი

3.1. მოთხოვნები ადამიანური რესურსისადმი

დარგის ასპექტი	სპეციალური მოთხოვნები
ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება	პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლების კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამის დარგში (ფილოლოგია) დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხით, პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მიმართულებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამაზე შესაძლოა მოწვეულ იქნეს სათანადო გამოცდილების მქონე დარგობრივი მიმართულების (სამართალი, ბიზნესი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და სხვა) სპეციალისტი.

3.2.მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი

დარგის ასპექტი	სპეციალური მოთხოვნები
კითხვა	პროგრამასთან არსებული ბიბლიოთეკა სახელმძღვანელოებისა და რიდერების, აგრეთვე დამატებითი საკითხავი ლიტერატურით უზრუნველყოფის გარანტიით. სპეციალური სამკითხველო ფართი, სადაც სტუდენტები შეძლებენ ადგილზე სხვადასხვა სტრატეგიის და ხერხების გამოყენებით კითხვას.
წერა	სხვადასხვა ტიპის დამხმარე მასალა (დაფა, წერითი დავალებებისთვის სპეციალურად შექმნილი ტესტები, კომპიუტერული ტექნიკა პრეზენტაციების მოსამზადებლად.
მოსმენა	აუდიომაგნიტოფონები და კომპიუტერები აუდიო-ვიზუალური მასალის მოსასმენად / საჩვენებლად
ლაპარაკი	ხმის ჩამწერი მოწყობილობები (კომპიუტერული ტექნიკა, დიქტოფონები).

4. დამატებითი ინფორმაცია

ენის სრულფასოვანი ათვისებისათვის ევროსაბჭოს ენობრივი სტანდარტები სავალდებულოდ მიიჩნევენ ენის შემსწავლელებში ***ეგზისტენციალური კომპეტენციისა*** (*Isaviov-etre*) *და* ***სწავლის უნარის*** (*savoiv-apprendre*) განვითარებას. ეგზისტენციალური კომპეტენცია ატარებს კულტურულად განპირობებულ ხასიათს და, ამდენად, დიდი მნიშვნელობა აქვს ინტერკულტურული ურთიერთობისათვის; სწავლის უნარი შეიძლება აგრეთვე განისაზღვროს როგორც 'სხვა რამის' ახლის

აღმოჩენის უნარი _ იქნება ეს სხვა ენა, კულტურა, ახალი ადამიანები თუ ცოდნის ახალი სფერო. სწავლის უნარს, როგორც ზოგადსასწავლო ცნებას, აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა (CEFR).

შესაბამისად, წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელში დამატებითი ინფორმაციის სახით წარმოდგენილი ინტერკულტურული და სწავლის სწავლის კომპეტენცია დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე შექმნილი „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ აუცილებელ კომპონენტად განიხილება:

1.კომპეტენციის სფერო - ინტერკულტურული კომპეტენციები				
1.1	აქვს განსხვავებული კულტურისა და ტრადიციების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება; იცის მრავალფეროვან საზოგადოებაში ქცევის წესები; შემწყნარებელია ზოგადად, განსხვავებული აზრის მიმართ.	მოეპოვება განსხვავებული აზრის მოსმენისა და პატივისცემის უნარი; შეუძლია საკუთარი პოზიციის ეთიკის ნორმების დაცვით ჩამოყალიბება; აქვს კულტურული განსხვავებულობის აღქმისა და სხვა კულტურათა პატივისცემის უნარი; პატივს სცემს დემოკრატიულ ღირებულებებს.	წერითი და ზეპირი დავალებები, კლასგარეშე მუშაობა; აქტივობები წყვილებში; როლური და სიტუაციური თამაშები;	საკუთარ პოზიციას გამოხატავს ეთიკის ნორმების დაცვით; ჩამოყალიბება; კულტურული განსხვავებულობის მიმართ გამოხატავს პატივისცემას და შემწყნარებლობას.

2.კომპეტენციის სფერო - სწავლის სწავლა				
2.1.	აქვს დავალების თითოეული ეტაპის განხორციელებისათვის საჭირო სტრატეგიების ცოდნა (სტრუქტურული ნიმუშები, გრამატიკული ცნობარი, ილუსტრაციები და სხვა);.	სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით. გამოკვეთს დავალების განხორციელების ეტაპებს; განსაზღვრავს თუ რა ცოდნა და უნარები უნდა შეიძინოს ახალი დავალების განსახორციელებლად; განსაზღვრავს საჭირო სტრატეგიებს დავალების თითოეული ეტაპისათვის.	ლექცია-სემინარები; წერითი და ზეპირი დავალებები, აქტივობები წყვილებში; როლური და სიტუაციური თამაშები.	დამოუკიდებლად (ლექტორის დახმარების გარეშე) განსაზღვრავს, რა სტრატეგიები შეარჩიოს დავალების შესასრულებლად, ახალი მასალის ასათვისებლად, პრეზენტაციის მოსამზადებლად.

მახასიათებლებში გამოყენებული ცნებების / ტერმინების დაზუსტება:

სპეციალობის **არჩევით ნაწილში** მოიაზრება:

ა) სტუდენტთა საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით დაჯგუფება სხვადასხვა ინტენსივობის არჩევით ბლოკებზე პირველ სემესტრში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციების მქონე სტუდენტთა დონის გათანაბრება მეორე სემესტრის ერთიანი სავალდებულო კურსებისთვის;

ბ) სტუდენტთა გადანაწილება მეორე სემესტრში **დარგობრივი მიმართულებების** მიხედვით: ენობრივი კომპეტენციების / სამეტყველო უნარების განვითარება იმ სპეციფიკურ ცნებებზე, ლექსიკასა და ტერმინოლოგიაზე, აგრეთვე დარგისთვის დამახასიათებელ სინტაქსურ კონსტრუქციებზე ორიენტირებით, რომელსაც ირჩევენ სტუდენტები უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურზე.

სპეციალობის **სავალდებულო კომპონენტი** საერთოა ყველა სტუდენტისთვის და უზრუნველყოფს სამეტყველო უნარების, ლექსიკისა და გრამატიკის კომპონენტების განვითარებას პროგრამის მახასიათებლებში გაწერილ შედეგებამდე.

ერთწლიანი პროგრამის დასრულების შემდეგ უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის ფაკულტეტებზე, სასურველია, შეიქმნას აკადემიური მხარდაჭერის ცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ არაქართულენოვან სტუდენტთა დახმარებას აკადემიურ პროცესში სრულფასოვანი ჩართვისა და ადეკვატური შეფასებისათვის (მათი აკადემიურ-კოგნიტური ენობრივი კომპეტენციების გათვალისწინებით).

III. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	**კახა გაბუნია**	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი
2.	**ივლიტა ლობჟანიძე**	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქართულ ენაში მომზადების პროგრამის კოორდინატორი
3.	**ნათელა ბერიძე**	სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი
4.	**დარეჯან კუხიანიძე**	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი
5.	**თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი**	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი
6.	**მარიკა შერაზადაშვილი**	გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი
7.	**მაია კიკვიძე**	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი
8.	**რუსუდან საღინაძე**	ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი
9.	**მერაბ ნაჭყებია**	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი
10.	**ელენე ფილაშვილი**	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი.